სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/173

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2025

თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი
,,სამშენებლო პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების ცენტრის" შექმნისა და მისი
დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/209 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 დეკემბრის №01-06-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეიქმნას უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ,,სამშენებლო პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების ცენტრი" და დამტკიცდეს მისი დებულება (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**